

# თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა

## სკოლის მიერ სასწავლო პროგრამების

### დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მოკლე მიმოხილვა:

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მისიაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების, ასევე მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე ერთიანი აღქმის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; საქართველოს უსაფრთხოების სექტორს, რეგიონს, ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხარდაჭერა.

სკოლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლის მიზანია (2016-2020) ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადი ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა და სასწავლო ციკლის ჩამოყალიბება.

სკოლის აქტივობებისთვის სამიზნე აუდიტორიად განსაზღვრულია უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო და სამხედრო (კაპიტნის წოდების მაღლა) პერსონალი, საჯარო მოხელეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

სასწავლო ციკლის მართვის ძირითადი ეტაპებია: საჭიროებების ანალიზი, პროგრამის დიზაინი, პროგრამის განვითარება, განხორციელება და შეფასება.

სასწავლო ციკლის ორგანიზებისათვის სკოლის მიერ გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში და ნატო-ში სასწავლო ციკლის ორგანიზებისთვის კარგად აპრობირებული ADDIE მოდელი. (A- ანალიზი, D - შემუშავება, D - განვითარება, I - განხორციელება, E - შეფასება ).



ანალიზი	შემუშავება	განვითარება	განხორციელება	შეფასება
ანალიზის ჩატარება და კურსის დაგეგმვა	კურსის სილაბუსის ჩამოყალიბება	კურსის მასალების მომზადება	კურსის ჩატარება	კურსის შეფასება
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საჭიროებების ანალიზი;</li> <li>▪ სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება;</li> <li>▪ კურსის მიზნების განსაზღვრა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სამიზნე აუდიტორიისა და კურსის მიზნების თანხვედრის ანალიზი;</li> <li>▪ სასწავლო ამოცანების ფორმირება;</li> <li>▪ ინსტრუქტორების /ტრენერების შერჩევა;</li> <li>▪ სასწავლო თემატიკის განსაზღვრა;</li> <li>▪ სასწავლო ფორმატის და მეთოდოლოგიის განსაზღვრა;</li> <li>▪ სასწავლო მოდულების ფორმირება;</li> <li>▪ კურსის სტრუქტურის განსაზღვრა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მასალების და შეფასების ინსტრუმენტების (ტესტები და.ა.შ) მომზადება/ შედგენა;</li> <li>▪ აღჭურვილობის და ტექნიკის მომზადება / შემოწმება.</li> <li>▪ სასწავლო პროცესის დეტალური დაგეგმვა-ორგანიზება;</li> <li>▪ დღის წესრიგის შემუშავება;</li> <li>▪ პროგრამის პილოტირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ განხორციელების პროცესის მართვა და ანალიზი.</li> <li>▪ ადმინისტრაციის მხრიდან დამკვირვებლის გამოყოფა და საკონტროლო სიის მიხედვით პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა.</li> <li>▪ არსებული გამოწვევების აღმოფხვრა;</li> <li>▪ კურსის შემდგომი ანგარიშის მომზადება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მსმენელების უკუკავშირის ანალიზი</li> <li>▪ ინსტრუქტორების/ტრენერების უკუკავშირის ანალიზი</li> <li>▪ სასწავლო პროგრამის SWOT ანალიზი</li> <li>▪ შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად, პროგრამის გაუმჯობესების სათვის რეკომენდაციების მომზადება.</li> </ul>

## ანალიზის ფაზა

ტრენინგ საჭიროებების დადგენის პროცესში მონაწილეობს 3 სამუშაო ჯგუფი, როგორც სკოლის საქმიანობით დაინტერესებული მხარე.

ანალიზის ფაზაში ხორციელდება ტრენინგ საჭიროებების დადგენა, რაც ეფექტიანი სასწავლო ციკლის აწყობის საფუძველია.

საჭიროების დასადგენად ჩამოყალიბებულია შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

1. უსაფრთხოების უწყების უფროსის მოადგილეებით დაკომპლექტებული სტრატეგიული მართვის საბჭო, თავდაცვის მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით (*იკრიბება წელიწადში ერთხელ*).

საქმიანობის მიზანი: სკოლის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა და ანალიზი;

2. სკოლის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი - კომპლექტდება თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების უწყებების მიერ ოფიციალურად იდენტიფიცირებული საჯარო მოხელეებით.

საქმიანობის მიზანი: სასწავლო პროგრამების დასაგეგმად საჭიროებების იდენტიფიცირება, შემდეგი წყაროების გამოყენებით:

- სტრატეგიული მიმართულებების ანალიზი
  - ✓ უსაფრთხოების სექტორისა და თავდაცვის უწყების სტრატეგიულ/კონცეპტუალურ დოკუმენტებში არსებული სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებისათვის აუცილებელი სასწავლო აქტივობების იდენტიფიცირება; (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სტრატეგიული თავდაცვის მიმოხილვა, სამხედრო სტრატეგია, მინისტრის ხედვა..)
  - ✓ ქვეყანაში, რეგიონში და საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ტენდენციების ანალიზი და ტენდენციებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სასწავლო აქტივობების იდენტიფიცირება;
  - ✓ სტრატეგიულ მიმართულებებზე შეთანხმება, რომელთა შესახებ შესაძლებელია სკოლაში მომზადდეს სასწავლო აქტივობები რეგიონისა და ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლებისათვის.

3. სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო სამსახურის ბიუროსა და სასწავლო დაწესებულების/სამსახურის წარმომადგენლებისგან. სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი

საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნას სხვა საჯარო/კერძო დაწესებულების წარმომადგენლები.

*(იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე - წელიწადში მინიმუმ 2 ჯერ).*

საქმიანობის მიზანი: პროფესიული განვითარების პროგრამებისა და სასწავლო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება შემდეგი წყაროების გამოყენებით:

- ✓ საჯარო მოხელეების სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტული მიმართულებები; ან/და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ იმ სასწავლო აქტივობების იდენტიფიცირება, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.
- ✓ საჯარო მოხელეების გამოკითხვა, და მათი დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი სასწავლო მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის (შემუშავებული კითხვარის მიხედვით).

ანალიზის ფაზის დასრულების შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან ხორციელდება სამუშაო ჯგუფების მიერ გამოვლენილი საჭიროებების პრიორიტეტიზაცია და წლიური სასწავლო გეგმის შემუშავება.

### **შემუშავების /დიზაინის ფაზა**

დიზაინის ფაზაში ხდება სასწავლო პროგრამის შემუშავება, რომელიც პასუხობს ანალიზის ფაზაში გამოვლენილ საჭიროებებს. დიზაინის ფაზაში განისაზღვრება სასწავლო პროგრამის შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგია, ასევე ხდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.

დიზაინის ფაზა წარიმართება ე.წ. დიზაინის გუნდის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის კურსის დირექტორი, მოდულის ხელმძღვანელი, ინსტრუქტორები/ტრენერები, დარგის ექსპერტები.

დიზაინის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სასწავლო მიზნების და ამოცანების ფორმირება;
- სამიზნე აუდიტორიის მახასიათებლების განსაზღვრა;
- სასწავლო თემატიკისა და ფორმატის განსაზღვრა;
- კურსის სტრუქტურის განსაზღვრა;
- სწავლების მეთოდების განსაზღვრა;
- შეფასების სქემისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა.

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლების მეთოდები. თავდაცვის ინსტრუქციური აღმშენებლობის სკოლა იყენებს თანამედროვე სწავლების მეთოდებს: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სიმულაცა, დისკუსია, გონებრივი იერიში, ელ. სწავლება, შერეული სწავლება (საკლასო მეცადინეობა და ელექტრონული სწავლების სინთეზი), როლური თამაში და სხვა.

თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, სკოლის მიერ ხორციელდება დისტანციური სწავლების (ADL) კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი (Formative) ისე შემაჯამებელი (Summative) შეფასების ფორმები. ესენია: ტესტები, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოს გარჩევა, ანგარიშები, პროექტი, ესეე და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

### **განვითარების ფაზა**

განვითარების ფაზაში ხორციელდება კურსის მასალებისა და შეფასების ინსტრუმენტების (ტესტები და ა.შ.) მომზადება/ შედგენა/შესყიდვა. ასევე, სასწავლო სივრცის მოწყობა/მომზადება კურსის თემატიკასა და აუდიტორიის მოთხოვნებთან მიმართებაში (სამუშაო ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობის, მათი განლაგების და ა.შ. სიზუსტით).

განვითარების ფაზა მოიცავს სასწავლო კურსისთვის დეტალური დღის წესრიგის შემუშავებას. ასევე სასწავლო პროგრამების დამკვირვებელთა და ტრენერების მომზადებას/გადამზადებას.

განვითარების ფაზა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- სასწავლო მასალების მომზადება/შედგენა;
- შეფასების ინსტრუმენტების მომზადება / შედგენა;
- დღის წესრიგის შემუშავება;
- ინსტრუქტორების/ტრენერების და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება /გადამზადება.

განვითარების ფაზაში კონკრეტული სასწავლო პროგრამა საბოლოოდ დასრულებულ სახეს იღებს და ხორციელდება მისი პილოტირება.

### **განხორციელების ფაზა**

განხორციელების ფაზა კომპლექსური პროცესებისა და პროცედურების ერთობლიობაა, რაც მოიცავს სტუდენტთა/მსმენელთა რეგისტრაციას, სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას, სასწავლო პროცესის მართვის აუცილებელი დეტალების ორგანიზებას, სასწავლო აღჭურვილობის

მართვას, მსმენელთა კვების, ტრანსპორტირების და სხვა საკითხების მენეჯმენტს. სკოლას გააჩნია სტანდარტული პროცესები და პროცედურები, რომლითაც ის ხელმძღვანელობს განხორციელების ფაზის ორგანიზებისთვის.

განხორციელების ფაზის ეფექტურობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამების დამკვირვებელთა ჩართვა კურსის მიმდინარეობის პროცესში (ტრენინგზე დაკვირვების პროტოკოლი).

## შეფასების ფაზა

შეფასების ფაზის ძირითად მიზანს სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენს.

შეფასების პროცესი მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება სასწავლო პროგრამის შეფასება დასრულებისთანავე. აღნიშნული შეფასება მოიცავს ინფორმაციას შემდეგი წყაროებიდან:

- უკუკავშირის ფორმა სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, რომელიც უკავშირდება სასწავლო პროგრამის თემატიკას, ტრენინგების შეფასებას, ადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ საკითხებს;
- კურსზე დაკვირვების პროტოკოლები;
- ინსტრუქტორებზე/ტრენინგებზე დაკვირვების ფორმები;
- ინსტრუქტორების /ტრენინგების უკუკავშირი ადმინისტრაციულ, ლოგისტიკურ და სხვა სახის მხარდაჭერასთან დაკავშირებით;
- სტუდენტების/მსმენელების შეფასების შედეგები (როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების შედეგები).

შეფასების მეორე ეტაპი ხორციელდება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან ექვს თვეში. აღნიშნული შეფასების მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად პრაქტიკული გამოდგა კურსდამთავრებულთათვის კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნა. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა ინფორმაციას შემდეგი წყაროებიდან:

- კურსდამთავრებულის / ხელმძღვანელის კითხვარიან
- კურსდამთავრებულთან / ხელმძღვანელთან ინტერვიუ

შეფასების ფაზაში მიღებული ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროგრამისა და პროცესის გასაუმჯობესებლად.

დოკუმენტს თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. ტრენინგის საჭიროების ანალიზის კითხვარი;
2. კურიკულუმის / სილაბუსის ფორმა;
3. დღის წესრიგის ნიმუში;
4. შეფასების კითხვარი მსემენელებისთვის;
5. ტრენინგზე / ლექციაზე დაკვირვების პროტოკოლი;
6. სასწავლო პროგრამის შეფასება;
7. ღონისძიების ორგანიზების საკონტროლო სია;
8. შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის;
9. შეფასების კითხვარი ხელმძღვანელებისთვის;
10. სერტიფიკატის გაცემის წესი;
11. შეფასების ფორმა ტრენერებისთვის.

## ტრენინგის საჭიროების ანალიზის

### კითხვარი

წინასწარ გიხდით მადლობას, რომ დაუთმეთ დრო და გულმოდგინედ შეავსეთ კითხვარი. შევსებული კითხვარის ანალიზი შემდეგ განსაზღვრავს სამომავლოდ იმ ტრენინგების/კურსების გეგმას, რომელიც თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში თქვენთვის დაიგეგმება.

**კითხვარის მიზანი:** იმ პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც გაზრდის თქვენს პროფესიულ კომპეტენციებს და კმაყოფილებას და მოტივაციას.

კითხვარში გათვალისწინებულია, როგორც პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით საჭირო ტრენინგები, ასევე სამომავლო განვითარებისთვის თქვენი ინტერესის სფეროს მოიცავს.

ზოგადი ინფორმაცია	
სახელი/გვარი:	
შევსების თარიღი:	
სქესი:	
ასაკი:	
დეპარტამენტის დასახელება:	
პოზიცია:	

პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით რა სახის პროფესიული განვითარების პროგრამები გესაჭიროებათ? გთხოვთ, განმარტოთ რატომ აირჩიეთ ესა თუ ის ტრენინგი და კონკრეტულად რა საკითხებია თქვენი ინტერესის საგანი?



საჭირო ტრენინგი	რატომ აირჩიეთ?	კონკრეტული თემები

ჩამოთვლილი ტრენინგებიდან რომელი არის სასწრაფო და მნიშვნელოვანი თქვენთვის უახლოეს მომავალში. გთხოვთ, დაასაბუთოთ:

-----

-----

-----

**თქვენი კომენტარი:**

ტრენინგების საჭიროებებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციის შემთხვევაში გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია

-----

-----

-----

**გარდა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტრენინგებისა, თქვენი პირადი ინტერესის ან საჭიროების გათვალისწინებით სხვა რა სახის ტრენინგის გავლას ისურვებდით?**

(თუ ხართ დაინტერესებული ისეთ საკითხებზე ტრენინგით, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება თქვენს სამსახურისა და პროფესიული საქმიანობის, თუმცა თქვენს პიროვნულ განვითარებასთან არის კავშირში და თქვენთვის კმაყოფილების მომტანი იქნება, გთხოვთ, დააფიქსიროთ ჩამოინათვალში).

საჭირო ტრენინგი	რატომ აირჩიეთ?	კონკრეტული თემები

ჩამოთვლილი ტრენინგებიდან რომელი არის სასწრაფო და მნიშვნელოვანი თქვენთვის უახლოეს მომავალში. გთხოვთ, დაასაბუთოთ:

-----

-----

-----

**თქვენი კომენტარი:**

ისეთი ტრენინგების საჭიროებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება თქვენს სამსახურებრივ საქმიანობას დამატებითი რეკომენდაციის შემთხვევაში გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია

-----

-----

-----

**განსაზღვრეთ ტრენინგთან დაკავშირებული სასურველიპირობები:**

**ტრენინგის შინაარსობრივი მხარე:** ტრენერის მიდგომის (გამოყენებული მეთოდები, ინფორმაციის გადმოცემის უნარი) ან ტრენინგის პროგრამის შინაარსის (თემები) დაგეგმვის თვალსაზრისით რა ფაქტორების გათვალისწინებას გვირჩევდით?

-----

-----

-----

**ტრენინგის ორგანიზაციული მხარე:** დღის წესრიგის, განრიგის და სხვა ორგანიზაციული საკითხების (ტრენინგის ხანგრძლივობა, საათების განაწილება და ა.შ.) თვალსაზრისით რა ფაქტორების გათვალისწინებას გვირჩევდით?

-----

-----

-----

**შენიშვნა:** გთხოვთ, მიუთითოთ ყველა ის საკითხი, რაც თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ტრენინგების შერჩევის თვალსაზრისით?

-----

-----

-----

**სასწავლო ცენტრის ბაზაზე ადმინისტრირებული ტრენინგებიდან რომელი ტრენინგი გჭირდებათ? განსაზღვრეთ პრიორიტეტები:**

ტრენინგის საგანი	მონიშვნა	პრიორიტეტების განსაზღვრა
სტრესის მართვა		
კონფლიქტის მართვა		
ეფექტური კომუნიკაცია		
ეფექტური მომსახურება		
პროექტების მართვა		
გუნდური შეჭიდულობა		
ტრენინგთა ტრენინგი		
ეფექტური პრეზენტაცია		
სამოქალაქო აქტივიზმი		
საზოგადოებრივი შეხვედრების ფასილიტაცია		
ეფექტური სატალეფონო მომსახურება		

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები		
ინოვაცია და ცვლილებების მენეჯმენტი		
მედიასპიკერების ტრენინგი		
დარწმუნების ფსიქოლოგია		
პროგრამა Power Point (პრეზენტაციების მომზადება)		
პროგრამა Outlook და Lync		

თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომელთა ტრენინგი:

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10**

როგორ ფიქრობთ რა ტიპის პოზიტიური შედეგი მოაქვს ტრენინგს სამინისტროს საქმიანობისათვის?

-----

-----

-----

**გმადლობთ თანამშრომლობისთვის!**

სასწავლო პროგრამის კურიკულუმის ფორმა

პროგრამის დასახელება	
პროგრამის მიზანი	
სამიზნე აუდიტორია	
ზოგადი აღწერა	
დაშვების წინაპირობა	
სწავლების ფორმა	
ხანგრძლივობა	
ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა	
კომპეტენციები	
სწავლის შედეგები	
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	
სტრუქტურა	
საათების განაწილება	
საგნების / მოდულების ძირითადი თემები / ქვეთემები	
სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები	
სერტიფიკატის გაცემის პირობები	

ტრენერები / ექსპერტები	
სწავლებისთვის საჭირო რესურსები	
ლიტერატურა / სასწავლო მასალა	

## საგნის სილაბუსის ფორმა

პროგრამის დასახელება	
სასწავლოსაგნის დასახელება	
მიზანი	
სამიზნე აუდიტორია	
სწავლების ფორმა	
საკონტაქტო საათების რაოდენობა	
კომპეტენციები	
სწავლის შედეგები	
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	
საათების განაწილება	
შინაარსი და ძირითადი თემები/კვთეულები	
სწავლის შეფასების მეთოდები	
სწავლებისთვის საჭირო რესურსები	
ლიტერატურა / სასწავლო მასალა	



სასწავლო პროგრამის დასახელება  
 პროგრამის/კურსის მიმდინარეობის თარიღი

თარიღი

საგნის/მოდულის დასახელება

საგნის/მოდულის ხელმძღვანელი:

დღისწესრიგი

დღე, თარიღი

დრო	ლონისძიება
	გახსნა
	ყავით შესვენება
	ლანჩი
	ყავით შესვენება

დღე, თარიღი

დრო	ლონისძიება
	ყავით შესვენება
	ლანჩი
	ყავით შესვენება
	კურსის შეჯამება და დახურვა





### შეფასების კითხვარი

წინამდებარე შეფასების კითხვარი კურსის ორგანიზატორებს ეხმარება სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში. გთხოვთ, გულახდილად შეავსოთ აღნიშნული კითხვარი. კითხვარის შევსება ანონიმურია. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

## სასწავლო პროგრამის/კურსის დასახელება

თარიღი

გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი ციფრი შემდეგი წესის გათვალისწინებით:

5 - შესანიშნავი 4 - კარგი 3 - საშუალო 2 - ცუდი 1 - ძალიან ცუდი

1. კურსის საერთო შეფასება 5 4 3 2

1

### კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შეფასება

2. შინაარსი იყო სასარგებლო და საინტერესო 5 4 3 2 1

3. შეაფასეთ სტრუქტურა 5 4 3 2 1

4. კურსის შედეგად გაუმჯობესდა ჩემი ცოდნა და უნარები დიახ ნაწილობრივ არა

5. კურსზე მიღებულ ინფორმაციას გამოვიყენებ სამსახურებრივსაქმიანობაში დიახ არა

6. აღნიშნულ კურსს რეკომენდაციას გავუწევ იმ უწყებაში, რომელსაც წარმოვადგენ დიახ არა

7. ჩემთვის საინტერესო 3 თემა

1).....

2).....

3).....

## კურსის ორგანიზაციული საკითხების შეფასება

8. ორგანიზაციული თვალსაზრისით კურსი იყო

5 4 3 2 1

9. ადმინისტრაციული პერსონალი იყო კეთილგანწყობილი და საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი

5 4 3 2 1

10. შეაფასეთ კურსის მატერიალურ-ტექნიკური მხარე

5 4 3 2 1

## სამუშაო ჯგუფების შეფასება

11. სამუშაო ჯგუფში მუშაობა იყო პროდუქტიული

5 4 3 2 1

12. მომხსენებლის / ტრენერის შეფასება

მომხსენებელი / ტრენერი	კომპონენტი	შეფასება
	ტრენერის ცოდნა და კომპეტენცია	<input type="checkbox"/> 5 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 1
	სწავლების გადმოცემის უნარი	<input type="checkbox"/> 5 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 1

**დამატებითი კომენტარი:** (კურსის შინაარსთან, სტრუქტურასთან, მომხსენებლებთან, კურსის ორგანიზებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით)

-----

-----

-----

-----

დანართი 5

**ტრენინგზე / ლექციაზე დაკვირვების პროტოკოლი**

ტრენინგზე დაკვირვების მიზანია ტრენერისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება და სასწავლო პროგრამის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა. დაკვირვებას აწარმოებს პროგრამის /მოდულის ხელმძღვანელი.

ტრენერი / მომხსენებელი:	პროგრამის /მოდულის ხელმძღვანელი:
ტრენინგი / ლექცია:	თარიღი:

**შეფასების კრიტერიუმები და სკალა**

4	3	2	1	x
მკაფიოდ ვლინდება მთელი პროცესის განმავლობაში	მეტწილად ვლინდება მთელი პროცესის განმავლობაში	სუსტად ვლინდება მთელი პროცესის განმავლობაში	არ ვლინდება მთელი პროცესის განმავლობაში	არ არის რელევანტური

№		4	3	2	1	x
<b>I - ტრენერის / მომხსენებლის დარგობრივი კომპეტენცია</b>						
1.1	იყენებს დარგში უახლეს ცოდნას (მაგ. კვლევები, თანამედროვე ტენდენციები და ა.შ.)					
1.2	აუდიტორიას აწვდის მრავალმხრივ მოსაზრებებს					
1.3	მიჯნავს ფაქტებსა და მოსაზრებებს					
<b>II - პროცესი</b>						
2.1	მკაფიოდ აყალიბებს ტრენინგის/ლექციის მიზანსა და მისაღწევ შედეგებს					
2.2	ტრენინგის/ლექციის მიზანი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება სილაბუსს					
2.3	ტრენინგის/ლექციის მსვლელობის დინამიკა ადეკვატურია					
2.4	ფაზებს / აქტივობებს შორის ბმა ლოგიკურია					
2.5	ხდება პროცესის შეჯამება ტრენინგის / ლექციის მიმდინარეობისას და დასასრულს					
<b>III – ტრენერსა და მსმენელს შორის ინტერაქცია</b>						
3.1	მსმენელებს აძლევს უკუკავშირს					
3.2	მსმენელებს ეპყრობა პატივისცემით					
3.3	უზრუნველყოფს მსმენელების ჩართულობას (მაგ. მსმენელების მხრიდან კომენტარების გაკეთება, პასუხისმის არგუმენტაცია და ა.შ. )					

ა) ტრენინგზე / ლექციაზე გამოვლენილი ძირითადი ძლიერი მხარეები.

--

ბ) ტრენინგზე / ლექციაზე გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები

--

გ) ზოგადი კომენტარი


--

### სასწავლო პროგრამის შეფასება

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა სასწავლო პროგრამის შედეგების შეფასებისას ეფუძნება კირკპატრიკის ფართოდ აღიარებული შეფასების მოდელს. შეფასების აღნიშნული მოდელი მოიცავს ოთხ დონეს, ესენია:

- პროგრამის მიმართმონაწილეთა რეაქციის შეფასება
- სწავლის შედეგების შეფასება
- ქცევის ცვლილების შეფასება
- საზოგადოებაზე გავლენის შეფასება

#### შეფასების დონეები Levels of Evaluation



#### შედეგების შეფასება

(გავლენა საზოგადოებაზე)

#### ქცევის შეფასება

(ნასწავლის პრაქტიკაში გადატანა)

#### სწავლის შეფასება

(შემენილი ცოდნა და უნარები)

#### რეაქციის შეფასება

(კმაყოფილება ან ბედნიერება)

**რეაქციის შეფასება:** აღნიშნულ დონეზე იზომება მონაწილეთა დამოკიდებულებები და რეაქციები სასწავლო პროცესის მიმართ; ტრენინგის ხარისხის, ეფექტიანობის, რელევანტურობისა და სარგებლიანობის შესახებ; ტრენინგითა და სასწავლო მასალებით კმაყოფილება; ტრენინგის ორგანიზაციული კუთხით კმაყოფილება.

**სწავლის შედეგების შეფასება:** აღნიშნულ დონეზე ხდება იმის დადგენა, თუ რამდენად გაიზარდა პროგრამის შედეგად მსმენელის ცოდნა და უნარები ან შეიძვალა მისი დამოკიდებულებები და ქცევები. აღნიშნულ დონეზე გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი: თვითშეფასების კითხვარები, პრე-პოსტ ტესტირებები და სხვა.

**ქცევის ცვლილების შეფასება:** აღნიშნული შეფასების მიზანია იმის გაზომვა, თუ რამდენად მოახდინა მსმენელმა ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება, ტრენინგის შედეგად მიღებული უნარებისა და ცოდნის სამუშაო გარემოში ტრანსფორმაცია.

**საზოგადოებაზე გავლენის შეფასება:** აღნიშნულ დონეზე იზომება ის დადებითი დინამიკა / გავლენა , რომელიც მივიღეთ სასწავლო პროგრამის განხორციელების შედეგად როგორც ორგანიზაციულ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. აღნიშნული ასევე ცნობილია, როგორც შეფასების სანალიზი და შემდგომი შეფასება და ფოკუსირებულია გრძელვადიანი შედეგების გაზომვაზე.

ზემოთ აღნიშნული დონეებიდან, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ახორციელებს შეფასებას პირველ სამ დონეზე.

1. რეაქციის დონეზე სკოლა ახორციელებს მსმენელებისგან უკუკავშირის შეგროვებას უშუალოდ კურსის დასასრულს შემდეგი კომპონენტების შესახებ:

- ტრენერის შეფასება;
- ტრენინგის გარემოს შეფასება;
- ტრენინგის პროცესის შეფასება;
- ტრენინგის შინაარსის შეფასება;
- ტრენინგის მატერიალურ - ტექნიკური მხარე;
- ტრენინგით ზოგადი კმაყოფილება.

*იხ. დანართი ' შეფასების კითხვარი მსმენელებისთვის '*

2. სწავლის შედეგების შეფასების კუთხით სკოლა იყენებს როგორც მაფორმირებელ (Formative), ისე შემაჯამებელ (Summative) შეფასების მეთოდებს.

მაფორმირებელი შეფასების მიზანია მსმენელის სწავლის პროცესის მონიტორინგი, მისთვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებით, რაც გამოიყენება როგორც სწავლების (ინსტრუქტორისთვის/ტრენერისთვის), ისე სწავლის (მსმენელისთვის) პროცესის მიმდინარეობის გასაუმჯობესებლად.

შემაჯამებელი შეფასების მიზანია მსმენელის სწავლის შეფასება სასწავლო მოდულის /კურსის დასასრულს. აღნიშნული შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების კრიტერიუმი მკაფიოდ გაწერილი სტანდარტებით და/ან ნიშნულებით (benchmark).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ძირითადი განსხვავებები მაფორმირებელ და შემაჯამებელ შეფასების მეთოდებს შორის.

	მაფორმირებელი შეფასება	შემაჯამებელი შეფასება
ამოცანა	მსმენელის სწავლის პროცესის მონიტორინგი მისთვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებით, რაც გამოიყენება როგორც სწავლების (ინსტრუქტორისთვის/ტრენერისთვის), ისე სწავლის (მსმენელისთვის) პროცესის გასაუმჯობესებლად	მსმენელის სწავლის შეფასება სასწავლო მოდულის /კურსის დასასრულს. აღნიშნული შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების კრიტერიუმი მკაფიოდ გაწერილი სტანდარტებით და/ან ნიშნულებით (benchmark).
როდის	სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას	კურსის /სასწავლო მოდულების დასრულების შემდგომ
სტრატეგია	სასწავლო პროცესის მონიტორინგი	ქულების მინიჭება / ნიშნების დაწერა

მიზანი	მსმენელების სწავლის პროცესის გაუმჯობესება უწყვეტი უკუკავშირის მეშვეობით	მსმენელების მიღწევების შეფასება
ფოკუსი	პროცესზე ორიენტირებული	შედეგზე ორიენტირებული
მაგალითები	საკლასო გამოკითხვა (classroom polls), გასასვლელი ბილეთები (exit tickets), დიაგნოსტიკური ტესტები, მოკლე კითხვა-პასუხები (quizzes), უკუკავშირი (feedback), სინდიკატებში მუშაობა და სხვა	შუალედური გამოცდები, მოდულის დამამთავრებელი ტესტები, საბოლოო პროექტები ან რეფერატები და სხვა


სწავლისა და სწავლების შეფასების გეგმისა და ინსტრუმენტების /მეთოდების განსაზღვრა ხორციელდება ტრენინგის/კურსის დიზაინის ფაზაში და ასახულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

3. ქცევის ცვლილების შეფასების დონეზე სკოლა ახორციელებს კურსდამთავრებულებისა და /ან მათი ხელმძღვანელებისგან უკუკავშირის შეგროვებას შესაბამისი კითხვარების, ინტერვიუების ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კურსის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ. აღნიშნული უკუკავშირი მოიცავს კითხვებს ტრენინგის მნიშვნელობის, რელევანტურობის, მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ და სხვა.

*იხ. დანართი „ შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულთათვის“*

*იხ. დანართი „შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულების ხელმძღვანელებისთვის“*

შეფასების თითოეულ დონეზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი), სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამის/ კურსის ე.წ. SWOT ანალიზს, რაც კონკრეტული სასწავლო პროგრამის /კურსის და ზოგადად სასწავლო პროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.







დანართი 7

		პასუხისმგებელი პირი/ სტრუქტურა	სტატუსი ✓
<b>1</b>	<b>ღონისძიების დაწყებამდე</b>		
1.1	სასწავლო პროგრამის / სილაბუსების შემუშავება		
1.2	დღის წესრიგის შემუშავება		
1.3	დღის წესრიგის შეთანხმება მომხსენებლებთან		
1.4	ხელშეკრულების გაფორმება მომხსენებლებთან		
1.5	წერილების მომზადება და დაგზავნა უწყებებში		
1.6	მონაწილეების იდენტიფიცირება და სტრუქტურირება		
1.7	დასწრების სიის მომზადება		
1.8	მონაწილეების წინასწარი მასალებით უზრუნველყოფა (საჭიროებისამებრ)		
1.9	ღონისძიების მასალების დაბეჭდვა /ორგანიზება		
1.10	მომხსენებითი ბარათი შესაბამისი მოთხოვნით (ყავა, ლანჩი; წყალი, ჭიქები, წიგნაკი, კალამი და სხვასაკანცელარიო ნივთები, სერტიფიკატი, საჩუქარი)		
1.11	ბრძანება		
1.12	საკონფერენციოს მომზადება/აღჭურვა		
1.13	საერთაშორისო სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის გაცნობითი ბუკლეტების უზრუნველყოფა სასტუმროში		
<b>2</b>	<b>ღონისძიების მიმდინარეობისას</b>		
2.1	ღონისძიების გახსნა		
2.2	მედია გაშუქება (საჭიროებისამებრ)		
2.3	ადმინისტრაციული წესების გაცნობა მონაწილეებისთვის		
2.4	დასწრების ფურცლის მონიტორინგი		
2.5	ღონისძიების მონიტორინგი		
2.6	ინსტრუქტორის/ტრენერის მონიტორინგი		
2.7	შეფასების კითხვარების დარიგება		
2.8	კურსის დახურვა		
2.9	სერტიფიკატების გადაცემა		
<b>3.</b>	<b>ღონისძიების დასრულების შემდეგ</b>		
3.1	შეფასების შეჯამება		
3.2	ღონისძიების SWOT ანალიზი		
3.3	სტატისტიკური ანალიზი		

დანართი 8

შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულთათვის

გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეფასებები.....კურსის /პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ. თქვენს მიერ მოწოდებული პასუხები დაგვეხმარება აღნიშნული კურსის /პროგრამის გაუმჯობესებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი ციფრი შემდეგი წესის გათვალისწინებით:

5- შესანიშნავი 4 -კარგი 3 - საშუალო 2 -ცუდი 1- ძალიან ცუდი

1. რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული კურსი თქვენს ამჟამინდელ სამუშაოსთან მიმართებაში:

5 4 3 2 1

2. შეაფასეთ აღნიშნული კურსის მნიშვნელობა თქვენს სამომავლო კარიერულ წინსვლასთან მიმართებაში:

5 4 3 2 1

3. რამდენად თავდაჯერებულად გრძნობთ თავს მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენების თვალსაზრისით?

5 4 3 2 1

4. ინარჩუნებთ თუ არა კავშირებს თქვენს თანაკურსელებთან?

დიახ არა

5. რა შეიძლება გაუმჯობესდეს აღნიშნულ კურსთან მიმართებაში? გთხოვთ გაგვიზიაროთ

## შეფასებისკითხვარიხელმძღვანელებისთვის

გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური სკოლის მიერ განხორციელებულ კურსთან..... დაკავშირებით, რომელზეც წარდგენილი იყო თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელი (სახელი, გვარი, პოზიცია).

თქვენს მიერ მოწოდებული პასუხები დაგვეხმარება აღნიშნული კურსის /პროგრამის გაუმჯობესებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

**გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი ციფრი შემდეგი წესის გათვალისწინებით:**

**5 - შესანიშნავი 4 - კარგი 3 - საშუალო 2 - ცუდი 1 - ძალიან ცუდი**

1. რამდენად გამოიყენა თქვენ მიერ წარმოდგენილმა კანდიდატმა კურსზე მიღებული ცოდნა და უნარები სამუშაო ადგილზე?

5 4 3 2 1

2. რამდენად გაიზარდა თქვენ მიერ წარმოდგენილი კანდიდატის სამუშაოს ხარისხი აღნიშნული ტრენინგის შედეგად?

5 4 3 2 1

3. წარმოადგენთ თუ არა აღნიშნულ კურსზე კანდიდატებს მომავალში?

5 4 3 2 1

**დამატებითი კომენტარი:**

### სერტიფიკატის გაცემის წესი

სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გიცემა პროგრამის (ან სასწავლო პროგრამაში შემავალი თითოეულისაგან) მოდულის 80% იანი დასწრების მაჩვენებლის დაკმაყოფილების შემთხვევაში (საკონტაქტოსათვის მიხედვით). ცალკეული სასწავლო პროგრამის შემთხვევაში დამატებით კრიტერიუმად შესაძლებელია განისაზღვროს მსმენელის მიერ ფინალურ ტესტირებაში მაქსიმალური ქულის 70 % ის გადალახვა.

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა გაცემს სერტიფიკატს ქართულ და ინგლისურ ენაზე სასწავლო პროგრამის სწავლების ენის შესაბამისად.

სერტიფიკატზე მითითებული უნდა იყოს:

- 1) თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოგო და/ან პარტნიორი ორგანიზაციის ლოგო;
- 2) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების სრული დასახელება;
- 3) მსმენელის სახელი, გვარი;
- 4) პროგრამის დასახელება;
- 5) აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი;
- 6) პროგრამის მოდულები (საჭიროებისამებრ);
- 7) პროგრამის გავლის პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი);
- 8) პროგრამის განხორციელების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა);
- 9) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების უფლებამოსილი პირის დატრენერ(ებ)ის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერის ადგილი;
- 10) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების ბეჭედი;
- 11) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის მიხედვითაც ხდება სერტიფიკატის აღრიცხვა „სერტიფიკატის რეესტრში“

სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი წარმოადგენს არაუმეტეს 5 (ხუთი) ლათინური სიმბოლოსა და 8 (რვა) ციფრის კომბინაციას. ლათინური სიმბოლოებით აღინიშნება პროგრამის /კურსის დასახელება. 8 ციფრიდან პირველი ორი აღნიშნავს სერტიფიკატის გაცემის წლის ბოლო ორ ციფრს, ხოლო დანარჩენი ციფრები - გაცემული სერტიფიკატების რაოდენობას (მაგ: SSOP19-000001).



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო  
თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა



# ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

ემღევა: -----

**უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამის**

**„ჰიბრიდული ომი და პროცესები საინფორმაციო გარემოში“**

**მოდულის წარმატებით დასრულებისათვის**

22 - 24 ოქტომბერი, 2019

თბილისი, საქართველო

---

თეა ნიკოლაშვილი  
სკოლის დირექტორი

---

დავით ძიძიშვილი  
მოდულის ხელმძღვანელი

SSOP19-000001



## შეფასების ფორმა ტრენინგებისთვის

[ტრენინგის/კურსის დასახელება]

[თარიღი]

### წინასწარ გიხდით მადლობას

გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი ციფრი შემდეგი წესის გათვალისწინებით:

5- შესანიშნავი 4 - კარგი 3 - საშუალო 2 - ცუდი 1 - ძალიან ცუდი

გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეფასებები ტრენინგის/კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- |                               |                            |                            |                            |                            |                            |
|-------------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|
| 1. ადმინისტრაციული მხარდაჭერა | <input type="checkbox"/> 5 | <input type="checkbox"/> 4 | <input type="checkbox"/> 3 | <input type="checkbox"/> 2 | <input type="checkbox"/> 1 |
| 2. ლოგისტიკური მხარდაჭერა     | <input type="checkbox"/> 5 | <input type="checkbox"/> 4 | <input type="checkbox"/> 3 | <input type="checkbox"/> 2 | <input type="checkbox"/> 1 |
| 3. სამიზნე აუდიტორია          | <input type="checkbox"/> 5 | <input type="checkbox"/> 4 | <input type="checkbox"/> 3 | <input type="checkbox"/> 2 | <input type="checkbox"/> 1 |
| 4. სასწავლო სივრცე            | <input type="checkbox"/> 5 | <input type="checkbox"/> 4 | <input type="checkbox"/> 3 | <input type="checkbox"/> 2 | <input type="checkbox"/> 1 |

*დამატებითი კომენტარი:*

-----

-----

-----

-----

2. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი რეკომენდაციები ტრენინგის / კურსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

-----

-----

-----

-----